# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

განკვეთილის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.


ეროვნული ბიბლიოთეკა


**ყოველ-დღიური გაზეთი „დროება"**

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".


## ტელეგრამმა

(„სახლთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 15 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გოტოვცევი, ავთმყოფობის გამო, გამოვიდა სამსახურიდამ და დარჩება მხოლოდ სენატორად.

## სახალხო დროს-გატარება

ტფილისი, 17 ივნისს.

ძველმა რომაელმა სთქვა: „ჯანმთელს სხეულში ჯან-მთელი სხეულიაო", ესე იგი, ვისაც ჯანი მთელი აქვს, ვინც სხეულით სრულია, ის სულითაც, გონებითაც, ჭკუითაც უნაკლულო არისო. რასაკვირველია, აქედამ იმის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ყველა ჯანოვანი კაცი მაინც-დამაინც ჭკვიანი და გონება გახსნილიც უნდა იყვეს; მაგრამ საზოგადო კანონი, რომელთაგან აღვიარებული, ეს არის, რომ ვინც სხეულით სუსტია, იმას არც სულის, ჭკუის სიმაგრე მოეთხოვება.

ეს კანონი კარგათ ესმისთ ახლანდელ განათლებულ ხალხთა და ამიტომაც არის, რომ იქ, იმ განათლებულ ქვეყნებში ყმაწვილობიდამვე აქცევენ ყურადღებას კაცის ჯან-მთელობას, ყოველ ხუთსავე გრძნობის გავარჯიშებას, სხეულის სისაღეს; ამიტომაც არის იქ გიმნასტიკა ასეთს პატივში, ამიტომაც ყოველ სასწავლებელში მარტო სწავლაზედა და გონების გავარჯიშებაზედ კი არა, სხეულის ვარჯიშზედ დიდი ყურადღებაა მიქცეული. რომაელთ კანონის ჭეშმარიტება მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერულად დაამტკიცეს და კანონადვე აღიარეს.

საუბედუროდ, ეს კანონი და ჭეშმარიტება ჩვენში არ არის აღიარებული და ცნობილი. ერთს დროს, მართალია, სხეულის ვარჯიშობას ჩვენშიაც დიდი ყურადღება ჰქონია მიქცეული: ყველგან სცოდნიათ ჩვენში ჯირითი, ბურთაობა, ჭიდაობა, კრივი, თოფის სროლას სწავლობდნენ, შემოღებული იყო დოღი ცხენებისა, ქვევითების მარულა და სხვ. და სხვ.

უეჭველია, ამას მიეწერება ის გარემოება, რომ იმ ერთ დროს ქართველი კაცი უფრო მხნეც ყოფილა, უფრო მარჯვეც, უფრო ღონიერიც, უფრო მაგარი ხორცითაც და სულითაც.

ეს დრო წავიდა. ახლა რას ვხედავთ ჩვენში? ჩვენებური გლეხი წელში გაწყვეტილია სოფლის მუშაობით სხეულის ვარჯიშობისათვის, იმას სად სცალია, როდესაც ათასი შინაური და გარეგანი წურბელა გარს შემოხვევია და ხელებში შესჩერებია: აბა მოიტანე შენი ოფლის ნაყოფიო! როგორც არის, კიდევ თავად-აზნაურობაში თუ მოიპოვება აქა იქ ცოტაოდენი მხნეობა, სხეულის ვარჯიშობა და სიმამაცე, თორემ სხვა წოდებაში აღარ; მაგრამ აქაც, ამ თავად-აზნაურობაშიაც ახლა იმის ნახევარს ვაჟ-კაცობას, მხნეობას, სხეულის სიმაგრეს და სიმარდეს ვერ შეხვდებით, რაც ადრე, ძველად ყოფილა. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ახლანდელი ჩვენი თაობა ლაჩარი, სუსტი, უღონო, სულ-მოკლე და ავად-მყოფი თაობაა და ამას, როგორც ზევით მოვახსენეთ, უეჭველად დიდი გავლენა აქვს ჩვენს სულიერ გონებით და ზნეობით მდგომარეობაზედაც.

თუ ყველა ამას წარმოიდგენთ, ადვილად გაიგებთ — თუ რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის სასიამოვნო ერთი ამბის შეტყობა, რომელიც ერთის შეხედვით, მართალია, დიდი არაფერია, მაგრამ ახლანდელს დროში და გარემოებაში ჩვენ ამ საგანს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. ჩვენ მოგახსენებთ იმაზედ, რომ, როგორც ამბობენ იმ ბურთაობისა და ჭიდაობის წყალობით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს შემოიღეს ჩვენს ქალაქში, გამოჩენილა რამდენიმე ქართველი კაცი, რომელნიც ჰკისრულობენ და აპირებენ „ქართულ სახალხო დროს გატარებათა საზოგადოების" შედგენას.

ამ საზოგადოებას, როგორც გვითხრეს, განზრახვა აქვს თავის წევრთა საშუალობით და სხვა ღონის ძიებით მოაგროვოს ფული და ამ ფულით, როდესაც და სადაც საჭიროდ დაინახავს, გამართოს დოღი, ჭიდაობა, ბურთაობა, თოფის სროლა და სხვა ისეთი სახალხო შექცევა, რომელსაც ხალხის ჯანმთელობის და სხეულის ვარჯიშობისათვის ასეთი კარგი და სასარგებლო მნიშვნელობა აქვს.

მალე სისრულეში მოყვანას და ყოველ წარმატებას ვისურვებთ ამ საზოგადოებისათვის. ვისურვებთ, რომ იმას ისე წაეყვანოს საქმე რომ ცოტა მაინც აემაღლებინოს, გაემაგრებინოს ჩვენი დაჩახრებული, დაჩაგრული, დასუსტებული სხეული და სული.

## დღიური

კავკასიის მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი გუშინ წინ, სამშაბათს, 15 ივნისს წავიდა ქალაქიდამ ალექსანდროპოლისა და ყარსისაკენ. ამ მოგზაურობაში ის დაათვალიერებს ართვინს, არდაგანს, ახალციხეს, აბასთუმანს, ბორჯომს, სურამს, გაივლის აგრეთვე ქუთაისშიაც და ერთის თვის შემდეგ, ესე იგი 15 ივლისს, ისევ ტფილისში დაბრუნდება.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი, რომ დუშეთის მაზრის სოფ. მუა-ხევის მთელ მცხოვრებლებთ „ცუდი (ვენერიული) ავად-მყოფობა" მოსდებია და პატრონი არავინ ამოსჩენიათ, რომ ამ საძაგელის სენისაგან დაიხსნას ხალხიო.

ახლა შევიტყვეთ, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და მაზრის ექიმი გაუგზავნია ხსენებულს სოფელში.

რადგან ეს მაზრის ექიმი სხვა სოფლებისთვისა და თვით დუშეთისათვისაც საჭიროა, ის, რასაკვირველია, დიდხანს ვერ დაჰყოფს ამ სოფელში, და ამიტომ სასურველია, რომ ერთი ფერშალი მაინც დასტოვონ იქ საკმაო და საჭირო წამლებით.

* * *

ამბობენ, რომ მომავალის წლის 1 იანვრიდამ რუსეთიდამ ჩვენს ქვეყანაში გადმოყვანილ ჩინოვნიკებს მოსპობილი ექმნებათ ყველა ის უპირატესობა სამსახურისა და მომეტებული ჯამაგირი, რომელიც იმათ დღემდინ ჰქონდათო.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში ჩვენს ღვინოებს რუსეთში და თითქმის ყველგან გარეთაც გასავალი მიეცა. ამბობენ, თ. ივ. კ. მუხრანსკის ღვინოებს განსაკუთრებით დიდი გასავალი მოელის რუსეთშიო; რომ ჰქონდეს, წელიწადში სამას ათას ვედროს თხოულობენ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქების ღვინის ვაჭრებიო.

ამ საგნის შესახებ ოდესიდამ გვწერენ, რომ ოდესაში კავკასიის ღვინოების ვაჭრობა პირველად ვიღაც ანტონოვმა დაიწყოვო, შემდეგ თავის ფირმა ამან ერთს ნემეცს—სკუტას მიჰყიდაო, რომელსაც ძალიან კარგად მიჰყავს ახლა ვაჭრობაო, დიდ-ძალ კახურ და იმერულ ღვინოებს ასაღებსო. მაგრამ აქაო ყალბი და გაიძვერა ვაჭრები გამოჩნდნენ, რომელნიც კავკასიის საუკეთესო ღვინოებს სახელს უფუჭებენო: სხვათა-შორის, ერთი ვიღაც ურია გამოჩენილა, რომელსაც რამდენიმე ასი ვედრა ღვინო მოუტანია იმერეთიდამ და თავის მაღაზიის ვივესკაზე და გაზეთებშიაც კი აცხადებს თურმე, რომ „საუკეთესო ღვინოები მოვიტანე კახეთიდამ — თ. ჭავჭავაძეების ზვრებიდამ, აგრეთვე თ. ივ. კ. მუხრანსკისა და ამნაირად ატყუებს ხალხს და ჩვენებურ ღვინოების ფასსაც და ღირსებასაც ამცირებსო.

## ტფილისის კათოლიკე სამრევლო სასწავლებლის შესახებ.

მჭიდროთ დასახლებულს და თავგანწირულს საქართველოს ერის შორის ხშირათ ფუძდებოდა ხოლმე ზოგი ერთი ისეთი რამ საზოგადო და სახალხო საქმეები, რომლებიც ქართველ ხალხის ეროვნებას საკურნელ მალამოდ ხვდებოდა. იმ მრავალ საზოგადო დაწყობილებათა შორის ითვლება ერთი ეს ჩვენი ტფილისის ქართველი კათოლიკების სამრევლო სასწავლებელიც, რომლის დასაწყისი და არსებობა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდგანვე მოისმის.

ვინც-კი დაუკვირდება ამ სკოლის არსებობას და ისტორიას ყველა დიდს პატივსა და მნიშვნელობას მისცემს, რადგანაც ეს ერთად-ერთი სასწავლებელიდაა, რომელიც არსებობს თავის დასაწყისიდგან აქნობამდე და რომელიც ამ უკანასკნელს დროს გახდა ერთ სასარგებლო და სამაგალითო სასწავლებლათა ახლანდელის დროის მოთხოვნილებისა-და-გვარად.

როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მართალია ეს სკოლა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდგანვე არსებობს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ ისეცა, რომ აქამდისინ ის მოკლებული იყო ისეთ წესებსა, რომელიც ყოველ სკოლის არსებობისთვის დიდ სასარგებლოთ ითვლება, რომელიც მთელს პედაგოგიურს მეცნიერებისაგან აუცილებელ საჭიროებად არის აღიარებული და რომელნიც ყოველ სკოლაში დადგენილ უნდა იყვეს. მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროთ, დღევანდლამდის ეს სკოლა მოკლებული იყო ამ საკეთილო ბედნიერებასა და მისი არსებობაც მიდიოდა თითქმის ისე, როგორც შუფეროდა მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე

საუკუნეობასა; აქამდის ამ სკოლიდგან გამოსულმა ბოვშვებმა წერა-კითხვა არც კი იცოდნენ, განათლებას ხომ სულ მოკლებულნი იყვნენ და ამიტომაც სკოლაში სწავლა-შესრულებული ყმაწვილები ხშირათ მომეტებული ნაწილი სულ უბრალო ხელობაში და გარყვნილებაში ვარდებოდნენ; ამის დასამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ დღესაც მრავალთ კათოლიკეთ შვილებს ვხედამთ: ზოგს ბაყლათ, ზოგს კინტოთ და ზოგს სხვათა.

დღეს ამ სასწავლებელს სულ სხვანაირს კალაპოტში ვხედავთ.

„დროებაშიაც“ ხშირათ ყოფილა ხოლმე ცნობები ამ სკოლაზედ და, უეჭველია, რომ ამის გაცნობა საზოგადოებისთვისაც სასიამოვნო იქმნება.

ეს სასწავლებელი რაც არსებობს თავის ახალის წესებითა და წინამძღოლითა—სულ მცირე ხანია და ამ მცირე დროის განმავლობაში კი სკოლის მოტანილმა სარგებლობამ აქაურს საზოგადოებას უკვე დაუმტკიცა თავისი დიდი და მაღალი მნიშვნელობა და საჭიროება.

ცამეტს ამ ივნისის თვისას ზემოხსენებულ სასწავლებელში იყო ყრილობა, სადაც მოწვეულ იყვნენ სკოლის წევრები და რამდენიმე გარეშე პირნი. აქტის დაწყობამდის სკოლის მახლობელს ეკლესიაში გარდაიხადეს წირვა. წირვის შემდეგ სკოლის კამიტეტის თავს-მჯდომარე და ეკკლესიის წინამძღვარი დონ-დიმიტრი თ. თუმანიშვილი შემობრძანდა სკოლაში მოწვეულის სტუმრებითა, სადაც მათ დახვდნენ სკოლის მოწაფეები. აქ პატივცემულმა წინამძღვარმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც საზოგადოებას გამოუხატა სკოლის შინაგანი მდგომარეობა. მოგვყავს აქ ეს სიტყვა შემოკლებით:

„ქვეყნის უმთავრესთ კეთილ-მყოფელათ ითვლებიან დამაფუძნებელნი და მასწავლებელნი სკოლებისა, ნამეტნავათ პატარა ყმაწვილებისა, ვინაიდგან ესენი არიან დანიშნულნი რათა დასტოვონ საუკუნო მოსახსენებელი შთამომავლობაში გარდმოცემისა რწმუნებათა, რომელნიც შეადგენენ ნამდვილ საუნჯესა გონიერებისა და ზნეობისა კაცობრიობაში; ისე რომ ესე ამ გვარი სკოლები არიან უმარჯვესნი იარაღნი გასასწორებლად დაცემულისა და წამხდარის ზნეობისა; ნამდვილნიც წარმატება არის მაშინ, ოდესაც მომავალი ნათესაობა იყო უმჯობესად ჩვენ აწინდელზედ გამზადებულნი“.

შემდგომა სთქვა:

„ეს გრძნობა იყო, რომელმანაც გვაიძულა სამრევლო ამა სკოლის დაფუძნება და თქვენ, პატივცემულნო წევრნო, ხართ იგინი, რომელთაც უჩვენეთ კეთილშობილნი გრძნობა, რათა ეს საქმე აღსრულებაში მოსულიყო და წინ წასულიყო“...

ითქვა რამდენიმე სიტყვა ქებისა წევრებზედ... შემდგომ წაიკითხა მოკლე ანგარიში სკოლისა და კომიტეტის მოქმედებაზე, მოქმედება და შრომა მასწავლებლებისა, რომელთაც საკმაოდ დაამტკიცეს 7 თვის განმავლობაში თვისი შრომა; ბოლოს ასე დაასრულა თავის სიტყვა:

„ყოველივე მსჯელობა და ლაპარაკი იქმნება ტყუილი და მე გარწმუნებთ, თუ რომ მომავლისათვისაც იქმნებით შემწე თქვენი უხვი შესაწირავით და გექმნებათ ყურადღება, თვით საქმით დაინახავთ, რომ მცირედი დაწყებული საქმე ესე განირთხავს ფესვთა, რომელზედ აღმაცენებელნი შტოები მოიტანენ კეთილს ნაყოფსა და სულნელებასა დასამშვენებლად თქვენი კეთილი მოქმედებისა“... შემდეგ სთქვა მშობლებზედ რაოდენიმე დარიგება: 1) შეცდომილება მდიდრებთა მშობელთა, რომელთაც გონიათ, თუ სწავლა იქ უფრო კარგი არის, სადაც ბევრს ფულს გარდაახდევინებენ... 2) შეცდომილება მათი, ვინც ჰგონებს, თუ სწავლასთან განუყრელად კეთილი ზნეობა და შრომა არ იქმნება შეერთებული მსგავსი სწავლა ენების მეტს რამეს სარგებლობას მოიტანდეს და ამ კეთილზნეობის სწავლას უფრო უადვილესად მოიპოვებენ კეთილი მაგალითის მიცემით მშობელთა, ვინემც სკოლის სწავლითა და ყურადღებითა თქმისამებრ სენეკისი: „ბრძელ არს სწავლა და მოძღვარებით მოკლე და გამკვეთი მაგალითით“.. შეცდომილნი არიან ის მშობელნი, რომელნიც კარგს მაგალითს არ უჩვენებენ თავიანთ შვილებსა; ესე ვითარნი მშობელნი ესრედ გააშავებენ უმანკო და ჩჩვილს ზნეობასა თავიანთი შვილებისას, როგორათაც მზე ზედ მავალს შეუნიშვნელად გაუშავდების სახე, რაგინდ თეთრი იყოს.

უკანასკნელ დაასრულა: „მაშ წინწარმატებისათვის ამა ჩვენი სკოლისა არ კმარ არს: ნივთიერი საშუალი ფულისა, არცაღა თავდაუზოგველი შრომა მასწავლებლებისა დამმართველთა; ამ გვარი კეთილი მაგალითის მიცემით შემწეობაც მშობელთაც საჭირო არს, და თუ რომ ესრედ ყველნ[...] ვიშრომებთ დიდებისათვის ღვთის[...], გარწმუნებთ შთამომავალნი თქვენ[...] იქმნებიან სასარგებლო მამულის[...], სასარგებლო მოყვარისა, ერთგულ[...] ჩვენი დიდებული ხელმწიფისა.“..

სიტყვის შემდეგ წაკითხული იქმ[...] ანგარიში ხსენებულს სასწავლებლის[...] გამოჩნდა, რომ სულ შემოსულა სხვა-და-სხვა პირების შემწეობით და გა[...]ლესიიდგან 2,608 მ. და 99 კ[...] დახარჯულა სკოლის გამართვით, მა[...]წავლებლების ჯამაგირით ამ შვი[...] თვის განმავლობაში 2,553 მ. 20 კ[...].

ანგარიშის შემდეგ სასწავლებლის მოწაფეებმა საერთოთ იგალობეს, რომელმაც დიდი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. გალობის შემდეგ ერთ[...] მოწაფეთაგანი პატარა ბავშვი წარდ[...] წინ და წაიკითხა შესხმით ლექსი.

პატივცემულმა წინამძღვარმა თავ[...] თუმანაშვილმა მოწაფეებს საჩუქრები დაურიგა, რომლებიც დანიშნული იყო ხუთი ვაჟების და ხუთიც ქალებისთვის; ეს საჩუქრები შეადგენდნენ ქართულ წიგნებსა. საჩუქრები მიიღე[...] კიდევ სხვა-და-სხვა ყმაწვილ ქალებმა, რომლებმაც საკმარისი ცოდნა აღმოიჩინეს ხელ-საქმეში. ეს უკანასკნელი საჩუქრები შეადგენდა მენდლებსა მწვანე ლენტებზე. თვით თავს-ჯდომარემ თავის ხელით გადაკიდა პატარა ქალებს ყელზედ მენდლები.

ბოლოს ბავშვებმა იმღერეს ბ. [...]ლადიდელის ლექსი: „მოგონება“ („მახსოვს პირველად“ და სხვ.

ზემოთ მოვიხსენეთ ჩვენ, რომ ეს სასწავლებელი კეთილის მიზნით არის დაარსებული-მეთქი და ამ რამდენ[...]

---

«დროების» ფელეტონი, 18 ივნისი.

## ბათომის ამბები

(დასასრული *)

გადასახლებულებს სიტყვიერი გამოცხადების გარდა დაბეჭდილი ქაღალდით გამოუცხადეს, რომ შეგიძლიათ თქვენი საკუთრება გაჰყიდოთ და გადასახლდეთო და დარჩენილებს ურჩევდნენ იყიდეთ ამათი მამულიო.

და ახლა, როცა გადასახლების დრო გათავდა, გამყიდავი რომ წავიდა, მყიდავებს დაუწყეს ჩამორთმევა, კანონიერად არ გიყიდიათო, არ გქონდათ ნება ყიდვისაო! ეს გადასახლებულების მიწები ვისაც ნაკლებათ აქვსთ, იმათ უნდა დაურიგოთ არენდითაო, და სხვა ამისთანები.

ამისთანა ბრძანების მიმღებ მაზრის თუ უჩასტკის ნაჩალნიკებმა ბაირამი გაითენეს, დუქანი გაიღეს:—ვისაც კაი სამსახური შეეძლო, იმას დაუწყეს მამულების დარიგება.

ახლა მოდით და ამისთანა საგნებზე დაწვრილებით ლაპარაკი და სჯა მოსთხოვე იმისთანა გაზეთს, რომელმაც პირველ ნაბიჯზედვე ყველა ამისთანები და ამაზე უარესებიც „недоразумѣніе“-თ დაინახა ან მოსთხოვე ამისთანა წესის მომცემლების გაკიცხვის, ან რჩევის მიცემის, ან შეცდომისა და გამოაშკარავების უფლება?!

მაშ რა გამოვა ამისთანა გაზეთისაგან?

ჩვენის მხრით ერთი შეგვიძლია ვურჩიოთ ახალ-დაბადებულ ნორჩს გაზეთს. თუ უნდა, რომ დაიმსახუროს ყველას ნდობა და ყურადღება: ან სწეროს ნამდვილათ რაც არის, ან არა და ეს თავისი შრომა სხვის სასაცილო ქებისათვის მიატოვოს დრომდის, სანამ უფრო თავისუფლათ სუნთქვა შეიძლებოდეს ბათომში, ან თუ არა და თავისი თანამშრომლებით ეტნოგრაფიულ გამოკვლევას შეუდგეს ბათომის მაზრისას.

თუმცა ამას ვამბობთ, მაგრამ მაინც სულითა და გულით ვინატრი, რომ ჩვენს ნორჩ „ბათომის ფურცლის“ რედაქციას აეცილებინოს თავისი გაზეთი ყველა ამისთანა და სხვა გაჭირებისა და განსაცდელისაგან.

ეხლა კი მეორე არა-ნაკლებ საყურადღებო საგანს დავუბრუნდეთ.

ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ბათომს კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ. იანოვსკი, რომელმაც დაათვალიერა მთავრობისაგან ქალაქს ბათომში გახსნილი სასწავლებელი და, როგორც ამბობენ, კმაყოფილებაც(?) გამოუცხადა ამ სასწავლებლის უფროსებსა.

ამ ნაირი სტუმრის მოსვლას ბათომში სწავლა-განათლების საქმის მსვლელობაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არ ვიცით რა მიზეზის წყალობით, ბ. იანოვსკიმ არა თუ სხვა სასწავლებლები დაათვალიერა და გაიცნო მათი საჭიროება და მდგომარეობა არამედ არც საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათომში გახსნილ სასწავლებელში ინება შებრძანება და გაცნობა, თუ რამდენად გამოსადეგი, სასარგებლო და საბუთიანი ხსენებულ საზოგადოების გახსნილ სასწავლებლებში პირველ დაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზე.

ეს გარემოება მით უმეტეს საყურადღებოდ და პირ-და-პირ მოვალეობად უნდა ეცნა ბ. იანოვსკის, რომ ამ უკანასკნელ დროს საქართველოს ყველა კუთხიდამ თხოულობენ და პედაგოგიურად ამტკიცებენ, რომ საქართველოში სწავლა-განათლების საფუძვლიანათ მიღებისათვის საჭიროა და აუცილებელი საჭიროაო, რომ პირველ დაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზე იყოსო, და არა იმ ნაირად, როგორც პოლიტიკოს პედაგოგ[...] ჰფიქრობენ.

სამწუხაროდ მიგვაჩნია ბ. იანოვ[...]კის მხრით ამ ნაირად მოქცევა, ა[...] ნაირად უყურადღებობა, რომ ჩვენ[...] ქართული სასწავლებლის ნახვა არ ინება, რადგან ის ჩვენ არ მიგვაჩნია იმ გვარ დასის პირთაგანი, რომლე[...]საც ყველაფერი ქართული სძულთ და სდევნიან ასე, რომ ამათ ქართული „მრავალჟამიერიც“-კი სეპარატიზმის და ავტონომიის წინა მორბე[...] სიტყვებად მიაჩნიათ და რომელნი[...] (შენ დაიხსენ, უფალო, რუსეთი ამის[...]თანა პატრიოტებისაგან!) თავიანთ[...] დონკიხოტობით არ იშურებენ ყო[...]ველ ნაირ სისაძაგლეს, რომ ყველა[...]ფერი ქართული სდევნონ და გაა[...]ცლონ ყოველ ნაირი ჭორები და სისაძაგლე ჩვენზე.

ამიტომაც ვამბობთ, რომ ბ. ია[...]ნოვსკის თავის, აქაურობის და აქა[...]რებას უმცოდინარისათვის, საინტე[...]სო უნდა ყოფილიყო გაეცნო მდგო[...]მარეობა ზემოხსენებულ სასწავ[...]ლებლისა, იმ სასწავლებლისა, სა[...]დაც 30—35-მდინ ყმაწვილი სწავ[...]ლობს.

X.

*) იხ. „დროება“ № 124.

...ნის განმაელობაში თავის სარგებლობის მაგალითებიც გვაჩვენაო. კარგ დასაწყისს კარგი შემდეგიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ სასწავლებელში ეს ასე არ არის; არ არის იმიტომ, რომ ზოგიერთა პირებს, რაღაც არ მოსწონთ, და ამიტომ შორს მიდგარან და იქიდგან სეირს უცქერიან. მაგრამ, ღვთით, ჯერჯერობით ამ სასწავლებელს ისეთი მზრუნველი ჰყავს, ისეთი პატრონი და მფარველი, რომლის მზრუნველობის ქვეშაც სკოლას არავითარი შიში არა აქვს.

ეს პატივცემული მზრუნველი, იმედია, არ დასტოვებს ამ საქმესა, არ დასტოვებს იმიტომ უფრო, რომ ამ სკოლის გაკეთება და გაუმჯობესობა ამის მეცადინეობასა და შრომას მიეწერება; არიან ისეთი პირები, რომელთაც არ უნდათ დააფასონ ამ პატივცემულის მოძღვრის მოქმედება და დაულალავი შრომა, მაგრამ თვით საზოგადოება დარწმუნდა და თვით საზოგადოებამ დაინახა ამის შრომა, და უეჭველია, რომ შემდეგში თვით ეს პირებიც დარწმუნდებიან მ. თუმანოვის კეთილ სინდისიან მოღვაწეობაში.

## „დროების" კორრესპონდენცია

სოფ. ძევერიდამ, 15 მაისს. ჩვენი სოფელი გახლავთ მახლობლად მდინარე ლიახვისა, ასე რომ სოფელსა და ლიახვს შუა სულ იქნება ერთი ვერსი.

ეს ლიახვი ძალიან ზარალს აძლევს ჩვენს საძოვრებს, ჭალაზე გადმოვარდნილა და ლამის რუთ გახდეს ეს ჭალა და მოსპოს საძოვარი. რაც შეუძლიან ლიახვი აქეთ იწევს და შემკვრელი არავინ არის. თუმცა ძალიან ენანება ის უკვდავი მამული ჩვენ საზოგადოებას, მაგრამ ერთი არა ჰყავს გულ-შემატკივარი, რადგანაც ამ მამულზე ზოგიერთნი დაობენ და, ამ ჩვენ ერთმანეთის დავაში, როგორც ვხედავთ, ლამის ლიახვს დარჩეს.

ამას გარდა, ქურდობაც არ აკლია ჩვენს სოფელს როგორც ღამით ისე შუადღისას. ამ ათის დღის წინათ მოეპარათ ორი ძროხა ერთი გლეხისათვის სოფელში. ეს არაფერი კიდევ, რომ იყო, იმ დღეს 10 თიბათვეს დღისით თორმეტ საათზე ორ ოსსა მოეპარათ ერთი ბატკანი, რომელიც შემოსულიყო ახლო ბაღში. წაევლოთ ხელი ბატკნისთვის, შეესვათ მხარზე და ისე აეტარებინათ სოფელში, თითქო აქ არა ამბავია-რაო. აბა სოფელშიაც რას იფიქრებდნენ, თუ ეს ბატკანი მოპარული მიჰყავსთ. ბოლოს პატრონი გადავიდა ბაღში თავის ბატკნის სანახავათა, ნახა არ არის ბატკანი; შეჯდა პატრონი ცხენზე, გამოუდგა ოსებსა, ერთიც სხვა წაიყვანა. მიეყვანათ ძერეთში და ოთხ თუნგ ღვინოთ გაეყიდნათ; მიესწრო პატრონს. ოსები კი მაშინვე დამალულიყვენ და ბატკანი კი იქ დაეტოვებინათ. პატრონს ეს ბატკანი კი წამოეღო თანა და ქურდები კი ვეღარ დაეჭირათ.

სხვა ამისთანა შემთხვევები ბევრი ხდება ჩვენსკენა, მაგრამ რა ქნას კაცმა.

ვ. ჯავახოვი.

## წერილები რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგ შენიშვნას შესახებ ა. ქავთელის საგარეჯოდგან კორრესპონდენციისა, რომელიც არის „დროების" № 113-ში დაბეჭდილი.

ბ. ა. ქავთელი სწერს:

„მღვდელ ბერძენოვს მიუსესხებია გოგიტაშვილისათვის ორი თუმანი ფული, თუმანი ორ აბაზათ თვეში, და ზალოღათ ჩამოურთმევია კარგი მწველელი ძროხა ერთი თვით, უკეთუ ორი თუმანი და ოთხი აბაზი ერთ თვემდინ არ მოუტანა, ძროხა სულიერ მამას უნდა დარჩენოდა".

ეს ფაქტი ისეა ა. ქავთელისაგან დამახინჯებული და განზრახვით დახატული, რომ მღ. ბერძენოვი საზოგადოების წინაშე გამოიყვანოს ანგარი, შეუბრალებელი და ბოროტ-მოქმედი, თორემ ეს საქმე ქავთელზე უფრო უკეთ იცის ს. საგარეჯოს მასწავლებელმა ალ. ცხვედაძემ, რომელიც უარს არ იტყვის ამაზე და დამემოწმება კიდეც, რადგანაც ამის თვალწინ მოხდა ეს:

29 აპრილს ს. საგარეჯოს სასწავლებელში მოვიდა ორი კაცი და ერთი ქალი, რომელთაც ტირილით შესთხოვეს ა. ცხვეთაძეს:

— ორი თუმანი ფული ბანკიდამ გვასესხეო, ძმა გარდაგვეცვალა და უნდა დავმარხოთო; განა შეძლება არა აქვს გარდაცვალებულს ჩვენ ძმას: ორი კამბეჩი ჰყავს, ორი ძროხა ხბოებით, ერთი ხარ-ზაქი კამბეჩი, სახლი და მამული, მაგრამ ესე დანაყელზე საქონელში ღირებულ ფასს არ გვაძლევენ; ერთი კამბეჩი გავყიდეთ თხუთმეტ მანეთათ (?) თუშიშვილზედ, ქაღალდიც დაუწერეთ, მაგრამ ფულს არ გვაძლევს.

— ჯერ წადით, კამბეჩი მინდვრიდან გამოიყვანეთ (საგარეჯოს მინდორი ერთი დღის სავალია) და მერე ფული მიიღეთო!

— ბევრთან ვიყავით, სხვანიც ეგრე გვეუბნებიან. სესხით კი არ გვასესხებენ და ყიდვით თუშიშვილზე მეტს არავინ გვაძლევს. შენი ჭირიმე, უჩიტელო, ორი თუმანი გვასესხე ბანკიდან! ამ დღიდგან დაგვიხსენ, მერე საქონელს გავყიდით და ვადაზე ადრე მოგართმევთ თქვენ ფულსა.

ბ. ცხვეთაძემ უპასუხა: — მე ყოველთვის მზათა ვარ ამისთანა შემთხვევაში გაჭირებულს კაცს შემწეობა მივსცე, მაგრამ რავქნა, ბანკში ეხლა ფული არ არის, ერთ თუმანს კი როგორც იქნება, აბა რა გიყო, მოგიხერხებ. 10 თუმნიდამ თორმეტი აბაზი წლის ფული გამოგერიცხებათ, რადგანაც ჯერ ამხანაგათ შემოსულები არა ყოფილხართ ბანკში, ოთხაბაზ უზალთუნი სარგებელი, შვიდი კაპეიკიც ვექსილის ქაღალდისათვის დაგეჭირდებათ, გერგებათ თქვენ ნაღდ ფულათ ექვსი მანეთი სამი აბაზი და სამი კაპეიკი.

— რასა ბძანებთ, ეუბნებიან გლეხნი: ორი თუმანიც არა გაგვიხდება-რა და ეგ რას გვიზამს!

— რა გიყოთ აბა, ბანკში ფული არ არის! მიუბრუნდება მღ. ბერძენოვს და ეტყვის: შენ ასესხე:

მეც ვასესხე და რადგანაც არ ვიცნობდი, გირაოთ ძროხა ჩამოვართვი, სარგებელზე ლაპარაკი არა ყოფილა.

მაშინ როდესაც იმისთანა დაწესებულება, როგორც ბანკი, ერთ თუმანს ასესხებს, იქიდან სამ მანეთს, ექვს შაურს და ორ კაპეიკს უკანვე იბრუნებს და ნაღდ ფულათ ექვს მანეთს, სამ აბაზს და სამ კაპეიკს ხელში აძლევს, თუმც გლეხს აქედან რამდენიმე მანეთი ენახება, მაგრამ რადროს შენახვაა, როდესაც თითონ სესხულობს; მაშინ, როდესაც ექვს თუმნიანი კამბეჩი თუშიშვილზედ თხუთმეტ მანეთათ არის გაყიდული და კამბეჩის მოყვანამდინ ფულს არ აძლევს; მაშინ, როდესაც ორი დღე დადის საგარეჯოში და ფულს არავინ აძლევს, თუ რა თუშიშვილის პირობით, ბერძენოვმა, რო ორი თუმანი მისცეს და გირაოთ ძროხა გამოართვას, გასაკიცხია? ვის მიცემულმა ორმა თუმანმა მიცვალებული დამარხა და თხუთმეტ მანეთათ გაყიდული კამბეჩი ექვს თუმნათ გააყიდვინა გარდაცვალებულის ცოლის ძმაზე? შინაობაშივე დაბრუნებინა საქონელი და ამ გვარათ ბერძენოვის ორმა თუმანმა ოთხ თუმან ნახევარი შესძინა.

ეს ბოროტობაა სულიერის მოძღვრისაგან, ბ. ქავთელო?

როგორ გაათავა გლეხმა საქმე მოძღვართან „არ ვიციო", სწერს ბ. ქავთელი. ამისთანა უარის-ყოფა ხო ძალიან გადგომაა; ზოგიტაშვილმა მოიყვანა ძროხა მაისის 5-ს და წაიყვანა მაისის 10-ს, არც ფული და არც სარგებელი მოუტანია.

„ერთი თვე უნდა მყვანდეს ძროხაო" ეს კი სიცრუე და ცილის-წამებაა, ამიტომ რომ გლეხს მოუხსენებია მაზრის უფროსის ჩოლაყაშვილისათვის 13 მაისისას: „ძროხა ჩემთან არის და ფულიც, მხოლოდ ქაღალდი აქვს მღ. ბერძენოვს და მეშინიან, ძროხა არ წამართოსო". ეს ქაღალდი მაისის 19-ს დავხიე და გავაუქმე, როცა ფული ჩავიბარე და ხუთი დღეც ძროხა ვწველე, დღეში თუნგ ნახევარი, დიახ გოლანდიის ძროხების ჯიშისა იყო.

ესე გათავდა საქმე ზოგიტაშვილისა.

ბ. ქავთელი კიდევა სწერს:

„რომელ გლეხთანაც წავა სახლის გასანათლ-მოსანათლათ, უსათუოთ თან დაჰყავს მთავარი, დიაკვანი და სტაროსტა... გლეხი სვინიდისიანია, იღებს ვალს და უსადილ-ვახშმოთ არ უშვებს და ეს დალოცვილება რაკი გადაჰკრამენ, ადგომას ხო არ მოიგონებენ! მღვდელი მოაყოლებს [illegible] ველს სიმღერას, მთავარი [illegible], დიაკონი და სტაროსტა ბანსა".

თითონვე ბ. კავთელი მოწმობს, რომ მღვდელს უფლება არა აქვს ძალით ვახშამი ან სადილი ვისმე გააკეთებინოს. ოთხნივ რათ დავდივართ ნათლობაშიო? ამიტომ რომ ეს ოთხნი პირნი საჭირონი არიან ნათლობის აქტის შედგენაში დასასწრობათ, როგორც სასულიერო კანონი გვიწერს; მერე მღვდელი როცა მღვდლობს, ვერ იდიაკვნებს, ნათლობის იარაღს: ემბაზს, შესამოსს ვერ აიკიდებს მღვდელი, ამიტომ უნდა სტაროსტა და დიაკვნები.

რაც შეეხება სიმღერას, მე „მრავალ ჟამიერის" მეტი არა ვიცი-რა და თუ ეს ორკესტრულ სიმღერას შეადგენს, მაშინ ბ. ქავთელი იმისთანა სიმართლესა სწერს, როგორც ერთმა კაცმა დათოვლილი ყვავი დაინახა და სთქვა „ყვავები თეთრებიც ყოფილანო".

მღ. ბერძენოვი.

1882 წ. ივნისს. 13.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს მცირე წერილს ალაგი მისცეთ თქვენს პატივცემულს „დროებაში", იქნება მოიფხვრას ის ძველებური უსინიდისო მოქცევა რომელიმე მოხელე პირებისა, როგორც მოხდა სოფ. უვარელში.

განვლილის მაისის 31 დღეს ჩვეულებრივ მოვდიოდი სამუშაოდან და უვარლის გალავანთან შემაფერხა ახირებულმა ყვირილმა და „მიშველეს" ძახილმა. თურმე მთელს ყვარლის მეველეებს (ოც და ხუთ კაცამდის ითვლება) მინდვრიდან მოერეკათ რამდენიმე ფარა ღორი ხუთი-ექვსი კაცისა კუთვნილი. მეველეებს და მეღორეებს შორის იყო დიდი კობლების ტრიალი, რომელთ მბრძანებელი იყო მეველეების უზბაში ჭიზიყიდამ მამულზედ შემოსული ბიჭი, ამბობდა: „რაც მამასახლისმა მიბრძანა, უნდა ავასრულოვო".

ერთი მეველეთაგანი ზ. ს—შვილს ენანებოდა შერეკა ღორისა და გალავანში დამწყვდევა, მაგრამ ისე დაუღირა უზბაშმა კომბალი, რომ კინაღამ დაარტყა და ჟუნებურათ უნდა დამორჩილებოდა „უზბაშის" ბრძანებას.

ოთხი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი ღორი ეყარა დამწყვდეული გალავანში. ბევრმა პატრონების თხოვნამ და ვედრებამ უქმათ ჩაიარა. ბოლოს შეჰყარა მამასახლისმა ერთ მახლობელ კვირა დღეს სოფელი და წაუკითხეს სოფლიდან დადგენილი „განჩინება" ერთ სოფლიერათ ხელმოწერილი და შემოწმებული ვითომც მინდვრათ ღორი არ შევინახოთო და ვისაც ჰსურს ყველა, სხვა სოფლის მინდვრებში და ტყეში შევინახოთო. წაკითხვის უმალვე ჰთქვეს უარი: „ჩვენ მაგაზედ ხელი არ მოგვიწერიაო, ჩვენ მარტო იმაზედ მოგვეცით

ხელი, რომ მეველეები გვინდოდა და ამა იმაზედ, რომ ლორი არ შევინახოთო, თუ ლორს ან სხვა ოთხ-ფეხს არ შევინახავთ, რილათ ვიცხოვროთ და ვემსახუროთ მთავრობასაო, ჩვენ სხვა ხელობა არასფერი გვაქვს მარტო საქონლის მოვლის და მისგან ცოლ-შვილის რჩენისაო“.

ასე გათავდა ყრილობა. მაგრამ ლორები პაპანაქება სიცხეში კი ტუხ-ტუხებდნენ და ჭყიოდნენ თიბათვის დღეებში ეშიერ მწყურვალი. ვიფიქრე სად ხარ „ტფილისის პირუტყვთ დამცველ საზოგადოებავ“ და ამ უბედურს ლორებს არ დაიხსნი ამ ვაი-ვაგლახიადან-მეთქი“.

ოთხის დღის შემდეგ გამოიყვანეს ფარიდან სუთ-ხუთი დარჩეული ლორი და ტორგით გაყიდვას უპირობდნენ დანარჩენები კი გაანთავისუფლეს. პატრონებმა შეწუხებულებმა მიართვეს მაზრის უმფროსს არზები და აპირობენ გუბერნატორთანაც თხოვნის მიცემას და როგორ გადაწყდება ავი და კარგი არავინ იცის ან ამ ფარიდან გამორჩეულის ოც-და-ხუთის ლორის ტორგით გაყიდვის ნაფასი სად და რომელ სასოფლო საჭიროებას მოხმარდება, არავინ იცის...... მხოლოდ კი ამას იძახდნენ მომიტებული გლეხი-კაცები, რომ თუ ის ნაქიზიყელი ბიჭი უზბაშით არ დაგვეყენებინა ჩვენში, როგორც უწინ ისრე ეხლაც მშვიდობიანობა იქნებოდა ერთიერთმანეთშიო, მაგრამ ჩვენი არეულობის მიზეზი ის არისო...

სოფლიკო.

15 თიბათვეს. ს. ყვარელი.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლევების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლევების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგაავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. სუსტის ავათმყოფობისა.

---

# განცხადებანი


## ბოზარჯიანცის თამბაქოს მაღაზიისაგან.

რადგან ზოგიერთებმა დაიწყეს ჩემის ფირმის თამბაქოს მსგავსი ყალბის ყუთებით ყიდვა თამბაქოისა, ამის გამო პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვო, რომ ჩემი ფირმის თამბაქოს ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ საკუთარს სახელსა და გვარს, რომელიც ყოველ პაჩკაზედ და ყუთზედ არის დაწერილი სხვილის ასოებით რუსულად, სომხურად, ქართულად და თათრულად.

ამასთანავე დავსძინებთ, რომ როგორც ადრე ისე ახლაც თამბაქოს მწეველ საზოგადოებისათვის ჩვენ მოგვდის უპირველესი ხარისხის თამბაქო ოსმალოს საუკეთესო პლანტაციებიდამ, როგორც მაგალითად: ქეიბეკი ენიჯედამ, სამსონი და სხვ. და აგრეთვე კავკასიის საუკეთესო თამბაქოებიც.

(2—1) ბოზარჯიანც.

---

## თედელეთის ნავთი

სავაჭრო სახლში „თ. ივანე კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და კომპ.“ ისყიდება თედელეთის ნავთის წყაროებიდან ახლად მოტანილიო ნავთი.

მსურველთა შეუძლიანთ ნავთის ფასი იკითხონ სავაჭრო სახლის კანტორაში, რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში (იარმუკაზე), საკუთარს სახლში. (3—3)

---

# მაღაზია

## სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ.

(12—2)

---

# ვეძებთ.

უმორჩილესად ვსთხოვთ პოლიციასაც და კერძო პირებსაც ვისაც კი უნახავთ ალექსი იგივე ალექსანდრე პავლეს-ძე იმერლიშვილი, რომელსაც ...ის წლით ჰქონდა პასპორტი და რომელიც ეს ოთხი წელიწადია არა ვიცით რა...

ამისი ნიშნები: ოცდა რვა წლისა, მოგრძო პირის სახისა, ქერა წვერ ულვაში და ხუჭუჭ თმიანი, მარცხენა თვალში ცოტათი ეტყობა დიბრი, ზომიერი ცხვირი, შუა-ტანისა. უმაწვილი ცოლ-შვილიანი. სიმამრის ძმა გარდაეცვალა და მას უანდერძა ასი თუმანი ფული.

თუ ცოცხალი უნახავს ვისმეს ან თუ ვინმემ იცის პოლიციამ ან კერძო პირმა ამ კაცის სიკვდილი უმორჩილესად სთხოვთ ცოლ-შვილი და დედმამა ამ ყმაწვილისას აცნობონ შემდეგის ადრესით. ქ. თელავში ს. ყვარელში მღვდლის სოლომონ იმერლიშვილის გარდასაცემად. (4—3)

---

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქურდი

# ყარამნისშვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდის მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ძობალაძესთან.

---

ინგლისის მაღაზიაში ახლად ... ლებულია დიდ ძალი ჩაი ... მოკრეფისა 30% უკეთესი, ... სხვაგან. იქვე იყიდება: ზარ... კაპ. დაწყებული; სტაქნები, ... 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—... მურაბა და ალბომები ნახევარ ფას... და სხვ. (100—89)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნ... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემო...) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ... გამოცემა:

**წითელი ფარანი,** ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ხა... კვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზ...


---

## ტაქსის

სავაჭრო ხორაგეულებათა, რომელ... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დუქნებში 16 ივნისი... 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვა...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 9 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

---

# ტფილ. ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულ... საქალაქო წესდების მე-17 და მე-22 მუხლის ძალით და ... ნახმად ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებისა ამა წლის 3 ... სისა, მოიწვევს ბ.ბ. ქალაქის სახლის მეპატრონეთა რომელ... სურთ მომავალის ოთხის წლისათვის 1883—1886 საქალაქ... ამორჩევებში მონაწილეობა მიიღონ, შემოიტანონ ქალაქის ... საში უეჭველად მომავალის 1 ივლისის თვემდინ რაც დასაფა... სებელი ხარჯი ამლევს იმათ მამულებსა.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა წინადვე აუწყებს სახლის-მე... პატრონეთა, რომ ვინც კი იმათგან დანიშნულ ვადამდის სრუ... ლად არ შემოიტანს ყველა გადასახდელ ხარჯს, გამორიცხულ... ნი იქნებიან ამორჩეველთა სიიდამ. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюня 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ...